ცნობის ფურცელი

№ 2149 ორშაბათი, 12 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2149

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურცლ." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.**

4 მანეთი და 50 კაპ.

ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

სურათებიანი დამატებით 1 მაისიდან წლის დამლევამდე.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—82)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის ი. ს. მუსხელაშვილისა.

(გედევანიშვილის სახლი)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე;

დ ი ლ ი თ:

მ. მ. მიქინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ფ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ვ. მადლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. ზედგინიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ა. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხოჯოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ვ. მადლაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუსხელაშვილი, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი მ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 612

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

მ ე ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ე

კ. დ. კობახიძე,

მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში, არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თულაევისა. ამ დღეებში მივიღებთ დიდძალ საეკლესიო ნივთებს და ხატებს.

ახალი ამბავი

✦ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ, გუშინ, კვირას დაადგინა: 1) ვსთხოვოთ მთავრობას დაარსდეს ტფილისის გუბერნიაში უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სამეურნეო განყოფილებაც იქმნეს, ან ისეთი, რომელსაც სამეურნეო მიმართულება ჰქონდეს; 2) თავად-აზნაურთა ბანკიდან დამფუძნებელთა ფულები, რომელიც უმაღლესის ბრძანებით დამფუძნებელთ უნდა დაუბრუნდეს და დღეს სახელმწიფო ბანკში ინახება, გამოიწეროს ამ ბანკიდან გუბერნიის წინამძღოლის ჩეკით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამას დაადგენს გუბერნიის წინამძღოლის თანადასწრებით არა ნაკლებ ორი მაზრის წინამძღოლისა; 3) ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სასოფლო-სამეურნეო თანხის დებულების პროექტი დამტკიცდეს; ამ პროექტის შემდგენელთ თავ. ს. რ. ვახვახიშვილსა და პ. ი. ყიფიანს, აგრეთვე სახელმწიფო ბანკის განყოფილების უფროსს, რომელმაც შრომა დასდო ამ პროექტის განხილვა-შესწორებაზე—ყველას მადლობა გამოეცხადოთ კრების სახელობითა; 4) განხილულ და დამტკიცებულ იქმნა ინსტრუქცია იმისა, თუ როგორ და რა წესით უნდა დაიხარჯოს თავად-აზნაურთა თანხები; 5) ქართულ დრამატიულ საზოგადოებას ეპატიოს 4900 მანეთი, ამ საზოგადოებაზე თავად-აზნაურობის ფული—თეატრის არენდისა—დარჩენილი.

ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

✦ კახეთში, სოფ. კონდოლის მევენახეებს **ფული შეუგროვებიათ** და საერთოდ 17 სეტყვის ასაცილებელი კელესა და პორახის სისტემის ზარბაზანი უყიდნიათ. ზარბაზნები დაუდგამთ და უცდიათ კიდეც. მემამულეებმა კომისია აირჩიეს და ამ საქმის წარმოება დაავალეს, მაგალითად თოფის წამლის სყიდვა და სხვ. კომისიამ დაიქირავა სპეციალისტი, რომელმაც ამ ზარბაზნების ხელი და სროლა კარგად იცის. ამას გარდა, ტფილისის გუბერნატორს თხოვნა მიართვეს, რომ ზარბაზნებისათვის საჭირო წამლის სყიდვა არავინ დაუშალოს კომისიას. საუფლისწულო მამულების უწყებაც დაჰპირდა მემამულეებს, თოფის წამალს ჩვენს საკუთარ განგებ აშენებულ წამლის საწყობში შეგინახავთო, თორემ ამისთანა შენობის აგება ძლიერ ძვირად დაუჯდებოდათ მემამულეებს.

✦ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობა შეეკითხა პეტერბურგის ქალაქის გამგეობას, არსებობს პეტერბურგში სავალდებულო დადგენილებანი სახელოსნო და სამრეწველო დაწესებულებათათვის სახელმძღვანელოდ, თუ არაო. გუშინ-წინ პეტერბურგის ქალაქის გამგეობისაგან ტფილისის ქალაქის გამგეობამ **პასუხად მიიღო,** რომ ასეთი სავალდებულო დადგენილებანი პეტერბურგში არ არსებობს, ხოლო წესები ასეთ დაწესებულებათათვის მოქცეულია სამრეწველო წესდებაშიო.

✦ ქალაქის გამგეობამ სახალხო კითხვათა კომისიას 200 მანეთი **გადასცა** სახალხო კითხვების გასამართავად პეტერბურგის არსებობიდან 200 წლის შესრულების გამო. ამ ფულით სახალხო კითხვას გამართავენ 16 მაისს ცირკში.

✦ როგორც ტფილისის პოლიცმეისტრის ანგარიშიდანა სჩანს, შარშან ტფილისში 189,676 სული **მცხოვრები ყოფილა.** ტფილისში 16,808 სხვა-და-სხვა სახლია და 8 თეატრი, 127 სასწავლებელი, სადაც სწავლობს 11,452 ვაჟი და 8,005 ქალი.

✦ რედაქციამ მიიღო **საყმაწვილო წიგნაკი** „სამი ცელქი", შ. მღვიმელისა. წიგნაკი საუცხოვოდ არის გამოცემული კარგ ქაღალდზე, დასურათებულია და ღირს სამ შაურად. წიგნაკში სამი პატარა საყმაწვილო პოემაა.

✦ **სამშაბათს, 13 მაისს,** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა მოხდება.

✦ მოგვივიდა ლაზარევის აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტის მიერ **გამოცემული წიგნი** „Тридцатилѣтіе спеціальныхъ классовъ Лазар. института восточныхъ языковъ". წიგნი ინსტიტუტის საბჭოს მინდობილებით შეუდგენია დოცენტს ა. ხახანაშვილს.

✦ **გორის მაზრიდან** გვატყობინებენ, წელს ალაგ-ალაგ მოსავლს კარგი პირი უჩანს. ამ ბოლო ხანებში ხშირი ავდრები მეტად აფერხებს ნათესობას, განსაკუთრებით პურისა და სხვა ამგვარი ხორბლეულობის ზრდას.

დუშეთის მაზრიდანაც მოდის ამნაირი ამბები. იქაც სოფ. ალაიანსა, ახალსოფელსა და სხვაგან ავდარს ძლიერ შეუწუხებია ნათესობა.

✦ წასულ 10 დღის განმავლობაში ქალაქის ღედათა საავადმყოფოში ავადმყოფი ქალი ყოფილა 20. საავადმყოფოში თავისუფალი ადგილი არის სულ 35-მდე.

✦ ამავე ხნის განმავლობაში ქალაქის გადამდებ სენით საავადმყოფოში ყოფილა სხვა-და-სხვა სენით ავადმყოფი სულ 13 კაცი. საავადმყოფოში თავისუფალი ადგილი არის სულ 69 კაცისათვის.

✦ ხონის საკვირაო სკოლის გამგე მღვ. ს. გორდულაძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „მადლობას ვუცხადებ ხონში მცხოვრებს ექიმს ზ. დ. კაკაბიძეს, რომელმაც გადმოგვცა ხონის საკვირაო სკოლის სასარგებლოდ თავის მიერ შეკრებილი 12 მ. და 82 კაპ; დიდ მადლობას ვუწირავ იმათ, რომელთაც არ დაიშურეს წვლილი ამ კეთილის საქმისათვის." რედაქციამ ამასთან მიიღო სია შემომწირველთა.

✦ როგორც სოფ. სამთავროსიდან (ქართლი) გვატყობინებენ, იქ აპირებს შუა რიცხვებში ვიღაც ბოროტ-მოქმედთ სრულებით აუწერიათ და გაუნადგურებიათ ტხორჟევსკების ახლად გაშენებული ხეხილის ბაღი.

✦ საჯარო ვაჭრობიდან სხვა-და-სხვა საქონლის გაყიდვით ტფილისის საუქციონო ზალას ამ წლის 1 იანვრიდგან 8 მაისამდე სულ 9605 მან. 85 კაპ. შემოსვლია.

✦ დღეს, 12 მაისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს განსახილველად აქვს შემდეგი საქმეები: 1) მოხსენება ქალაქის გამგეობისა „ნავთის ბაღის" შესახებ. როგორც მკითხველებმა უწყიან, „ნავთის ბაღი" 17 დესიატინა მიწამდე ჯერ კიდევ თავ. გორჩაკოვის დროიდან ქალაქს გადაეცა საკუთრებად, რომ მისგან შემოსულ ფულით ქალაქს თავის თანხა გაეძლიერებინა. ამ ოთხი-ხუთი წლის წინად მიწათ-მოქმედების სამინისტრომ საკითხი აღძრა იმის შესახებ, რომ ეს მიწა ჩამოერთვას ქალაქს და ისევ ხაზინას გადაეცეს, რადგანაც იგი ჯეროვანად ვერ ამუშავებს ამ მიწას და აქედან ხეირიანი შემოსავლის წყაროს ვერ აღმოუჩენია; 2) განცხადება სტასოვისა და ბრაილოვსკის სოლოლაკის გორის ქვეშ ტუნელის გაყვანის შესახებ; 3) არჩევანი ხარჯის გამწერელ საკრებულოს სამის წევრისა და სამის კანდიდატისა; 4) არჩევანი ქალაქის საუქციონო დარბაზის გამგისა; 5) მოხსენება კომისიისა ხმ. ბაღდასაროვის განცხადების გამო ი. ფურცელაძის მიერ ვითომ ქალაქის მიწის მითვისების შესახებ; 6) დადგენილება გამგეობისა და კომისიის შეერთებულ სხდომისა მდ. მტკვრის პირად ქალაქის ელექტრონით გასანათებლად ჰიდრავლიურ სადგურის აგების შესახებ; 7) შუამდგომლობა ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების საზოგადო კრებისა, დაუთმოთ ხოლმე მათ საბჭოს დარბაზი საზოგადო სხდომებისათვის და სხვ. სულ საბჭოს განსახილველი აქვს 24 საქმე.

შეცდომის გასწორება. გუშინდელს ნომერში „სასამართლო"-ს ანგარიშში შეცდომა შეგვპარვია. იქ არის ნათქვამი, რომ პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, ე. ი. ორივე ბრალდებული—მირიანაშვილი და ჩუბინიძე—დამნაშავედ იცნოო; პალატას-კი მხოლოდ ჩუბინიძეს შესახებ დაუმტკიცებია ოლქის სასამართლოს განაჩენი, მირიანაშვილი-კი უდანაშაულოდ უცვნია.

დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 11 მაისი. თავად-აზნაურობამ დაადგინა უმაღლესად ნაბოძები ფული მოჰხმარდეს სამეურნეო სასწავლებელს; შეუერთდა ტფილისის თავადაზნაურთა კრების დადგენილებას და თანხას.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება

(კორესპონდენცია)

თავად-აზნაურთა 8 მაისის სხდომაზე, დეპუტატთა საკრებულოს მომავალ სამის წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, დიდი კამათი გამოიწვია გ. ნ. იოსელიანის მიერ აღძრულმა კითხვამ, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ჯამაგირი დაენიშნოსო. თუ ჯამაგირს დავუნიშნავთ, ჩვენ შეგვიძლია წინამძღოლად ისეთი კაცები ვიყოლიოთ, რომელნიც მთელს თავის დროსა და ენერგიას თავად-აზნაურთა სამსახურს მოანდომებენო. ის წინადადებას აძლევს კრებას იშუამდგომლოს საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წინაშე, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ბანკის წმინდა მოგებიდან ეძლეოდეს ყოველ წლიურად 3000 მანეთი. ამ კითხვის აღძვრის დროს ის კითხვაც აღიძრა, ყველა წინამძღოლს უნდა ეძლიოს ასეთი ჯამაგირი, თუ მხოლოდ უმაღლეს სწავლა მიღებულთ. ერთ დროს თავად-აზნაურთა კრებას დაუდგენია, რომ გუბერნიის წინამძღოლს მხოლოდ მაშინ დაენიშნოს ჯამაგირი, თუ უმაღლესი განათლება ექმნება მიღებული; მხოლოდ აწ განსვენებულ ლუკა ასათიანისთვის განკერძოებული პატივი უციათ და დაუდგენიათ, თუ როდისმე ის არჩეულ იქმნებოდა წინამძღოლად, ჯამაგირიც დანიშვნოდა ისე, როგორც უმაღლეს სწავლა მიღებულთ.

ზოგიერთები თხოულობდნენ ამ დადგენილების დატოვებას; ზოგიც იმ აზრისა იყო, რომ ჯამაგირი ყველასათვის დაენიშნათ, ვისაც თავად-აზნაურობა გუბერნიის წინამძღოლად არჩევის ღირსად სცნობდა. კენჭისყრით 121 ხმის უმეტესობით 35 წინაამდეგ გადასწყდა: აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა წინაშე, რომ თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლს ყოველ წლიურად ეძლიოს წარმომადგენლობისთვის 3000 მანეთი, ვინც უნდა იქმნეს არჩეული ამ თანამდებობაზე.

შემდეგ კრებამ 134 ხმის უმეტესობით 22 წინააღმდეგ, თანახმად თავად-აზნაურთა წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამძღოლებისა და დეპუტატების შეერთებულ სხდომის დადგენილებისა, გადასწყვიტაა 1900 წლამდის თავად-აზნაურთაგან შემოუტანელი გადასახადი (ნედოიმკები) შემოტანილ იქმნეს ნაწილ ნაწილად ხუთის წლის განმავლობაში; ხოლო თავმოყრილი ჯარიმები კი ეპატიოთ ყველას. დასასრულ კრებამ უცვლელად მიიღო მოხსენება თავად-აზნაურთა საურთიერთო დამხმარე კასის დაარსების შესახებ

კრება გადაიდო 9 მაისისთვის.

დონ-გოლიანი

წერილი სიღნაღიდან

ქარიშხალი.—ქურდობა.—კაცის დაჭრა.

სუსხიან ზამთრისაგან სულ-შეხუთულთ და ავდრიან მარტ-აპრილისაგან თავმობეზრებულთ მაისის იმედი-ღა გვქონდა. დაუდგა მაისიც, მაგრამ არ სანატრელი. ორ მაისს ისეთი ძლიერი ქარი ჰქროდა დილიდან საღამომდის, რომ ხეხილი და ხეები სულ მიამტვრ-მოამტვრია. ბევრგან ძირიანად დაჰგლიჯა. ისე გააფუჩა და დაამსხვრია, თანაც დააყრევინა ფოთლები და ნაყოფი, რომ მეორე დღეს თითქო ცხელი წყალი გადაუსხამთ და იმითი მოუთუთქნიათო. ბევრგან სახლებს სახურავებიც დაჰგლიჯა. მთელი კვირა სულ ამის დარდსა და ლაპარაკში იყო ხალხი.

ამას წინად ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლის სამმართველოში ქურდობა მოხდა. სამს მაისს, ღამე, სამმართველოს საგუშნაოდან ბრალდებულების დასასაბუთებელი ფასიანი ნივთები გაუტანიათ. ნივთები ვერცხლისა და ზოგიც ოქროსი ყოფილა და ღირებულა სულ 400 მან. დიდი აღთქმით გამოაწვია ამ ამბავმა, მაგრამ ქურდი ჯერ-ჯერობით ვერ აღმოაჩინეს. ამ ბოლო დროს მაინც ძალიან გავრცელდა დაწესებულებებში ქურდობა. ერთი კანცელარიაც გაჰქურდეს, საიდანაც ბერდანის თოფები, ტყვიები და სხვა ნივთები წაიღეს. ქურდობა მოჰხდა აგრეთვე სხვაგანაც.

ერთმა მოსწავლემ 6 მაისს ორგან დანით დასჭრა გ—შვილი. ეს მოსწავლე სხვებთან ერთად დასეირნობდა, კონფეტებს ყრიდა და უწმაწურ სიტყვებს უგზავნიდა მოსეირნე ქალებს. მობეზრებულ ქალს მამისათვის მიუტანა ამბავი, რომელმაც არა მგონი მოარჩიოს რამდენიმე სილა გააწნა. მოსწავლემ ამიტომ თურმე ჯიბიდან დანა, მიეპარა გ—შვილს და ორგან დასჭრა მკერდსა და მკლავში.

პროვინციელი.

დაბა-სოფლები

სამხთო (გურია). სამხთო ძლიერ მდიდარია სხვა-და-სხვა მადნეულობით, მაგრამ ჯერ-ჯერობით დამუშავებაზე არავინ ზრუნავს. არის სამხთოში ერთნაირი მადანი, რომელსაც სამხთოელები „მდევის სისხლს“ ეძახიან. ნამდვილად კი ეს მთის ფისია (горная смола), რომელიც გადადნობის შემდეგ მანქანების დასაწმენდად ვარგა. ამ უკანასკნელ დრომდე ამ მადანს ყურადღებას არავინ აქცევდა. სამხთოელებს სწამდათ, რომ იმ ადგილას, სადაც ნიშნები იყო, ძველს დროში მდევებს ჩხუბი მოსვლიათ, ერთმანეთი დაუჭრიათ და სისხლი დაუღვრიათ. აქედან გარდაქმნილა „მდევის სისხლი“. მეცნიერული გამოკვლევა კი იმას გვეუბნება, რომ ამ ადგილებში მიწის-ძვრის დროს ამოუხეთქნია ნავთს, რომელიც მოქცეულა ნაპრალებში და დროთა ვითარების გამო გაქვავებულა, სწორედ ისე, როგორც ხე-ტყე ქვანახშირად გადაიქცევა ხოლმე. ეს მადანი ძლიერ ჰგავს ქვა-ნახშირს, ხოლო ბევრად რბილი, მსუბუქი და ბრწყინვალეა; ცეცხლზე იწვის ლუქივით და მყრალს სუნს აყრცელებს, ფასი ქვა-ნახშირზე ბევრად მეტი აქვს. ეხლა თავ-გამოდებით დაეძებენ ამ „მდევის სისხლს“, მაგრამ ჯერ ძირს ვერ მიაგნეს. აქა-იქ მიწიდან მოსჩანს წვრილ ზოლებად, ხან იკარგება და ხან კიდევ ჩნდება. თუ ბევრი ამოჩნდა, ჩვენის სოფლის საქმე წინ წაიწევს.

არის ჩვენს სოფელში მეორე ნაირი „მდევის სისხლი“, რომელიც ქვა-ნახშირს უფრო წააგავს, ვიდრე ზემოხსენებულს მადანს. არავის აზრად არ მოჰსვლია შეეტყო, რამდენი მოიპოვება ან რა თვისებისაა ეს მადანი. როგორც ამბობენ, ერთხელ მიუტანიათ ნიმუში ვიღაც ინჟინერისთვის, რომელსაც „არ ვარგაო“, უთქვამს და ამით გათავებულა გამოკვლევა. არის სამხთოში ასფალტი. იგი ძლიერ ბლომად მოიპოვება. აწ განსვენებულს ზ. ნაკაშიძეს გამართული ჰქონდა ქარხანა ასფალტის დასამუშავებლად, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული იყო მუშაობა შეეწყვიტა და შემდეგ ხელ-ახალი მუშაობა არავის უცდია. მარტო ზემო ნათქვამით არა თავდება სამხთოს მადნეულობა. ჩვენში არის ნავთის შესამჩნევი ნიშნები. ჯერ კიდევ ოცი და ათის წლის წინად, როცა კავკასიაში ნავთის ხსენებაც არ იყო, შეამჩნიეს ეს ნიშნები. ვერსად, მთელს სამხთოში წყალს ვერ იშოვით, რომ ნავთიანი ლორწო არა ჰქონდეს მოდებული. რაც შეეხება კუპრს, ეს ისე ბლომად არის, რომ ერთ ნაწილს სამხთოისას „საკუპრეს“ ეძახიან. სწორედ ამ „საკუპრეზე“ ამ ოცი-და ხუთის წლის წინად, ვიღაც „პრინცის“ თაოსნობით გაიმართა მუშაობა ნავთის ამოსაყვანად, მაგრამ, როგორც ამბობენ, საქმე ვერ იყო სასურველად მოწყობილი და უნაყოფოთ ჩაიარა. შემდეგ მუშაობა ჰქონდა ერთს ამერიკელს ამხანაგობას. დღეს ხვალეობით ელოდნენ ნავთის ამოხეთქას, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდათ და ამხანაგობა თავის ბარგ-ბარხანით გზას გაუდგა. შემდეგ მუშაობა არავისა ჰქონია, თუმცა ყოველს წლობით მოდიან სხვა-და-სხვა ამხანაგობის აგენტები მიწების დასაიჯარებლად. მიწის დაიჯარება კარგს შემოსავალს აძლევს ჩვენს სოფელს. იშვიათია ისეთი სამხთოელი, თუ ცოტა მიწა გააჩნია, ორ-სამჯერ არ ეჯიბოს იჯარის ფულები. ამიტომ სამხთოელებს ძლიერ მოსწონთ ასეთ აგენტების, ანუ როგორც თვითონ ამბობენ, „ინჟილერების“ სტუმრობა. ხან-და-ხან მართლა ინჟინერებიც გვესტუმრებიან ხოლმე, მაგრამ მათი ნამოქმედარი ჯერ არაფერში გვეტყობა.

ასე თუ ისე, სამხთოელები მაინც იმედს არ ჰკარგავენ, დარწმუნებულნი არიან, რომ ადრე თუ გვიან ჩვენში ამოჰხეთქს ნავთის შადრევანი და სამხთო მეორე „ბაქოდ“ გახდება.

ი. დონეშვილი

—

სამტრედია (იმერეთი). 7 მაისს, ბოქაულის ბ-ნ მაისურაძის განკარგულებით, მოხდა აქაურ ხელოსანთა და ვაჭართა კრება. კრებამ აარჩია დაბის დეპუტატი და მ/ო კანდიდატი. დეპუტატის კორთაძის მაგიერ აარჩიეს სტ. სტურუა, ხოლო კანდიდატის რუხაძის მაგიერ—გუგუნავა.

„ცნო. ფურც.“ მე-2139 №-ში შეცდომით შემდეგი სიტყვები შეგვეპარა: „ქვემო იმერეთს წელს ყურძნობით 3—4 მილიონი მანეთი დააკლდება“. უნდა იყოს: შესაძლებელია წელს კახეთს 2—3 მილიონი მანეთი დააკლდეს.

სანდრო.

—

სოფ. ზაზიანი (კახეთი). აქეთ მშვენიერი ამინდებია. მოსავალს კარგი პირი უჩანს. მუშა ხალხი აღტაცებით შესცქერის თავის ნამოქმედარს, ჯერ-ჯერობით, უნაკლულოს. ყანები და ვენახები კარგს იმედს იძლევა, მაგრამ ზოგიერთი ცუდი ზნე აწუხებს ხალხს. ყოფნა არ ყოფნასა ჰგავს. თუ იყოლიებ რიგიანს საქონელს, მოგპარავენ; თუ ვენახი ძალიან ისხამს, გაგიკაფავენ და თუ კარგი ღვინო შეგაგულეს, არც იმას დაგზოგავენ. სოფლები ხომ ცუდს მდგომარეობაშია და ახლა მწყემსებს მოჰყვეს ხელი. თელავიდან სიღნაღს მიმდინარე გზა თითქმის ყველა სოფლების შუაზედ თუ არა, ახლოს მაინც მიდის და მწყემსებიც ამ გზაზედ მოდიან შირაქიდან თავიანთ სამწყესოთი, სადაც მრავალი ტანჯვა და ვაი-უშველებელი მოელით. ნიმუშად აქვე მოვიყვან რამდენსამე შემთხვევას: პირველს მაისს ერთს თუშს მოჰპარეს სოფელს ურიათუბანში ოთხი ცხენი და დასტოვეს იგი გულ-ხელდაკრეფილი. 3 მაისს ამავე სოფელში ურმიდან აალაგეს ერთს მწყემსს თოფი, რომელსაც მან ცოტა ხანს შეაჩერა ურემში თავის საქმისათვის დუქნებთან. 4 მაისს ამავე სოფელში, ეკლესიის გზიდან საღამოთი (ისევ ადრე იყო) ადგილობრივს მღვდელს მ. ი. ჩეკურიშვილს მოჰპარეს ცხენი. ბოროტ-მოქმედნი ჯერაც არ აღმოუჩენიათ. აქეთ თუმცა წინადაც ჰხდებოდა ამისთანა შემთხვევები, მაგრამ ეხლა ძლიერ გაიდგა ფესვი; ამ ბოლოს დროს ხომ ყოველ-დღიურად გადაიქცა.

ა. ფ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მაისს.

ვარშავა. კომერციულ სასწავლებელთა დირექტორებისა და მზრუნველ საბჭოთა მომავალ კრების დროს მოითხოვენ, რომ მოწაფეებისათვის ფორმის ტანისამოსი გააუქმდეს, რადგან ამ ფორმას სრულებით არაფერი კავშირი არა აქვს აღზრდასა და სწავლასთან, მეტად ძვირად ჯდება და პრაქტიკულ სწავლის დროს ხელსაც უშლის მოწაფეებს.

როსტოვი-დონზე. პასტერის ცოფის ამცრელ ინსტიტუტის საძირკველი ჩაჰყარეს.

კოვნო. ქალაქის საბჭო მისასალმებელ ადრესს უგზავნის ს.-პეტერბურგს. ქალაქის თავსა და ორ ხმოსანს დეპუტატებად ჰგზავნიან პეტერბურგში.

პენზა. სუვოროვის სახსოვრად აგებული ძეგლი აკურთხეს იმის სოფელ მაროვკაში. ძეგლის კურთხევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

რომი. აველინოს პროვინციაში, ბენევენტოში მიწა იძრა.

სოფია. ხმა დადის, სარაფოვი ბოლგარიაში დაბრუნდაო.

ვენა. კონსტანტინეპოლში ერთ კაცს, ბოლგარელ კომიტეტის წევრს, საფრანგეთის საელჩოს მოსამსახურისთვის ეთხოვნა, საელჩოში ჯოჯოხეთის მანქანა დადგი და დიდ ფულს მოგცემო. მოსამსახურემ ეს ამბავი ელჩს გამოუცხადა, მაგრამ იმის განცხადებას ყურადღება არ მიაქციეს. დამნაშავე არ დაუტუსაღებიათ. საელჩოს უფრო ძლიერად იცავენ.

პარიჟი. პარიჟელ დეპუტატებს გადაუწყვეტიათ, მთავრობას უცხოეთიდან შემოტანილ ხორბლის ბაჟის დაკლებაზე შეეკითხონ.—თითო ცენტნერ ხორბალზე ორი ფრანკია დაკლებული.

ბელგრადი. გაზეთი „ოდიეკ“-ი საბოლოოდ აიკრძალეს. პასუხის-მგებელ რედაქტორს ორის თვით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს მთავრობის შეურაცხყოფისათვის.

11 მაისს

კონსტანტინეპოლი. დაიწყო მობილიზაცია მესამე კორპუსის 16 ბატალიონისა. საერთო რიცხვი ყველა ჯარებისა, რომლებსაც უჭირავთ სალონიკისა, უსკიუბისა, მონასტირისა, სკუტარისა და იანინის ვილაიეტები, უდრის 140,000 კაცს. ეს გარემოება ეხლა საკმარისად ამტკიცებს, რომ ოსმალები დასძლევენ კომიტეტების უწესოებებს.

ჰავანნა. დღეს ხელმოწერილია გრძელვადიანი ხელშეკრულობა შეერთებულ შტატების და კუბას შორის. კუბას არ შეუძლიან იქონიოს სხვა სახელმწიფოებთან რაიმე ხელშეკრულობა, რომელიც მისს დამოუკიდებლობას ზღუდავს; არ შეუძლიან აიღოს რაიმე სახელმწიფო ვალი, რომელიც არ შეესაბამება კუნძულის ჩვეულებრივს შემოსავალს. შეერთებულს შტატებს ეძლევათ უფლება ჩაერივნენ კუბის დამოუკიდებლობის დასაცველად; ნება ეძლევათ აგრეთვე—გამართონ ნახშირის სადგური კუნძულ პინხაზედ.

სოფია. ოფიციოზი „ახალი საუკუნე“ უძღვნის მოწინავეს მთავრობის მოსაზრებებს; ის ამბობს, რომ მთავარს ჰსურდა შეედგინა კოალიციური სამინისტრო, მაგრამ პარტიების მეთაურების ანგარიშებმა ეს შეუძლებელი ჰქმნეს; ამიტომ იძულებული შეიქმნა შეედგინა სამინისტრო სტამბულოვის პარტიისაგან; ის ჩამოაგდებს მშვიდობიანობას პორტასთან: შესწყვეტს მოძრაობას, დემონსტრაციებს და ყოველგვარ აღელვებას; მაგრამ პორტამაც უნდა შესწყვიტოს ბოლგარელების დევნა მაკედონიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამთავროს მცხოვრებლების გაბრაზების შეჩერება შეუძლებელი გახდება და ამ გაბრაზების შედეგის თავიდან აცილება ძნელი იქნება.

სოფია. სულთანმა ბრძანება გასცა ხელი არ ახლონ სტრუმიცის მიტროპოლიტს გერასიმეს.—ალბანელები გაიყვნენ ორ პარტიად: მუსულმანები დაემორჩილნენ რეფორმებს, კათოლიკები კი განაგრძობენ შეიარაღებულ ოპოზიციას. კუკუშის კაზაში ოსმალები აპატიმრებენ უდანაშაულო მცხოვრებლებს.—მთავრობის წრეებში დარწმუნებით ამბობენ, რომ დიდი ვეზირი დაჰპირებია ბოლგარიის დიპლომატიურ აგენტს კონსტანტინეპოლში, რომ მისი ბრძანებით მაკედონიაში ძალადობა შეწყვეტილ იქმნება, უდანაშაულო პატიმრები განთავისუფლებულ იქმნებიან, დახურული სკოლები ხელახლად გაიხსნება და მიღებულ იქმნება იმნაირი ზომები, რომლებიც უზრუნველ ჰყოფენ მცხოვრებლების სიცოცხლეს და მშვიდობიანობას დაამკვიდრებენ.

კომპიენი. ქალაქის საბჭო სამადლობელ ადრესს უგზავნის ლელიანოვს პეტერბურგის დღესასწაულებზე მიწვევისათვის. ადრესში მოხსენებულია, რომ აქაურ მკვიდრთ სასოებით ახსოვთ კომპიენის სასახლეში საფრანგეთის მეგობარ და მოკავშირე ხელმწიფე იმპერატორის ყოფნა.

ტულონი. მერი პეტერბურგს წავიდა დღესასწაულებზე დასასწრებლად.

ქრისტიანია. იბსენი ამ თვეში მეტად კარგადა ჰგრძნობს თავს. ყოველ დღე აღგება, დადის ოთახებში და კარგი მადა აქვს. ის ცნობა, რომ იბსენი სიკვდილის პირადაა, —ტყუილია.

ზაგრები. დაბეჭდილია განკარგულება, რომლითაც დელნიჩისა და სუსაკის ოლქები და ქალაქი ბუკკარი სამხედრო მდგომარეობაში მყოფად არიან აღიარებულნი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) **ტფილისიდან მიდის:**

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს. 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) **ბათუმიდან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) **ბაქოდან გამოდის:**

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) **ქუთაისიდან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 17 მაისს, შუადღის 12 საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა მნაცაკანის ხიდზე გადასახადის მოკრება გამვლელ გამომვლელებსა და საქონელზე.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტების წარდგენა შეიძლება 1903 წლის 17 მაისის 12 საათამდე. იმან, ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა, ბედ უნდა წარადგინოს 1500 მანეთი. (2—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—48)

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)